MES 4 22 0001600477

13/12/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.11.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:58 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ერეკლე ასტახიშვილი -** შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;

10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	დავით წასიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;	I
2	ნიკა გიგაური		GIPA-ს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;	I
3	გიორგი ტომარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;	I
4	ნინო ივანიშვილი		ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანი;	I
5	თამთა თვალავაძე			

		ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი.	I
6	ნატა ბაჯიაშვილი		პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;	I
7	პავლე ტაბატაძე -		პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;	I
8	შოთა იორამიშვილი		პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი;	I
9	ალექსი ამნიაშვილი		პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი;	I
10	ქრისტინა რზგოევა	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ვიცე-რექტორი	II
11	ნინო ყურშუბაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	II
12	რომან მამულაძე		უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერი, პროფესორი	II
13	მანუჩარ ლორია		ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი	II
14	გულადი თხილაიშვილი		ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	II
15	ქეთი ჭანიძე		ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი. „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	II
16	ასლან მახაძე		ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ემერიტუსი. „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ყოფილი ხელმძღვანელი.	II
17	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
18	სოსო გოგილიძე		პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	III
19	ქეთევან გეგიაძე		საერთაშორისო აკრედიტაციის უფროსი	III

20	თამარ ლობჟანიძე		ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დირექტორი	III
21	ნათია ლანდია		მედიცინის დეპარტამენტის უფროსი	III
22	ანა ჟორჟოლიანი		ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელი	III
23	აპოლონ მესხი		მედიცინის პროგრამის აკადემიური პერსონალი, პროგრამის განვითარების საბჭოს წევრი	III
24	ლალი ბეიტრიშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	მედიცინის პროგრამის აკადემიური პერსონალი, პროგრამის განვითარების საბჭოს წევრი	III
25	ანი ნაყოფია		OSCE-ის საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი	III
26	რუსუდან კუპატაშვილი		მოწვეული პერსონალი	III
27	ნინო ლომიძე		მოწვეული პერსონალი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ანი ქვათაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარიამ მაჭავარიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “პროგრამული ინჟინერიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კინოწარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

ცენტრის წარმომადგენელმა, დავით ბურჯანაძემ საბჭოზე დამსწრე წევრებს გააცნო შპს საქართველოს უნივერსიტეტის შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კინოწარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა, რომელიც საბჭოს დღის წესრიგის მე-4 საკითხად იყო განსაზღვრული, განსახილველად გადატანილ იქნეს 10 დეკემბერის შემდგომ ჩანიშნულ საბჭოს სხდომაზე.

სხდომაზე დამსწრე წევრებმა განიხილეს აღნიშნული შუამდგომლობა, როს შედეგეად საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “პროგრამული ინჟინერიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა

1.პირველი საკითხი : ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “პროგრამული ინჟინერიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროგრამული ინჟინერია / Software Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII (შვიდი)
9	კვალიფიკაციის დასახელება	პროგრამული ინჟინერიის მაგისტრი / Master of Software Engineering

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მარი ბროსეს ქუჩა N2, თბილისი, 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციისგ ანხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 9 სექტემბერს, ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2022 წლის 7 სექტემბერს - მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2022 წლის 9 სექტემბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის ინსტიტუტში ვიზიტით. გაიმართა შეხვედრები: დაწესებულების ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პროგრამული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველის ტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სავალდებულო წესით მოხდეს პედაგოგების ინფორმირება საგნის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის, ამ შედეგების შეფასების პროცედურების და შეფასების შედეგებზე რეაგირების პროცედურების შესახებ;

2. სპეციალობის გამოცდის თემები მეტად დაკონკრეტდეს და დაემატოს პროგრამას;

3. დაემატოს პროგრამას ალგორითმების მიმართულების საგნები;

4. გაძლიერდეს საგნების „პროგრამული ინჟინერიის პარადიგმები", „მონაცემთა ბაზების დიზაინი" , „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები", „კომპიუტერული ქსელის ინჟინერია", „პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება" სილაბუსები მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი საკითხებით;

5. სავალდებულო საგანი „კვლევის მეთოდები" ჩანაცვლდეს დარგობრივი კვლევის მეთოდებით და არსებულმა საგანმა გადაინაცვლოს არჩევით ბლოკში უფრო კონკრეტული სათაურით, მაგ. „სოციალური კვლევის მეთოდები";

6. განახლდეს ლიტერატურა საფეხურის შესაბამისი წიგნებით;

7. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა დარგის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე პიროვნებებით. ჩართვა;

8. მკაფიოდ განისაზღვროს პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს მოწვეულ პედაგოგთა ჩართულობას პროგრამაში და მათზე მიწერილი საგნების სილაბუსების შემუშავებას.

9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდეს პროგრამის პერსონალის პერიოდული ტრენინგი პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესში მათი მაქსიმალური ჩართულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამშრომლობით შემუშავდა სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომი სამიზნე ნიშნულები და ასახულია სავალდებულო სასწავლო კურსების შეფასების ის კომპონენტები, რომელთა დაკვირვებითაც განხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვა და ამასთან განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და

პასუხისმგებელი პირები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია, ჯერ არ განხორციელებულა და, შესაბამისად, მისი სწავლის შედეგების გაზომვა ვერ მოხდებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. ბუნებრივია, პროგრამის განხორციელების შემდგომ შესაბამისი პერსონალი ჩაერთვება სწავლის შედეგების გაზომვისა და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისთვის გამოყენების პროცესში.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის აღწერილობაში დეტალურადაა მოცემული პროგრამაზე მიღების წინაპირობები, ასევე პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამას შემუშავებული აქვს დოკუმენტი პროგრამის მისაღები საკითხების შესახებ, რომელიც გაზიარდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია საგამოცდო თემატიკა და მითითებულია დასამუშავებელი ლიტერატურა, რომლის მომზადებაც დასჭირდება აპლიკანტს სამაგისტრო პროგრამაზე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩასაბარებლად. ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია აპლიკანტის შეფასების სისტემაც. შესაბამისად, პროგრამას აქვს სამართლიანი და გამჭვირვალე მიღების წინაპირობები, რაც პროგრამაზე ისეთი პირების შერჩევას უზრუნველყოფს, რომლებსაც ექნებათ პროგრამის დაძლევისთვის საჭირო კომპეტენციები. რაც შეეხება საგამოცდო თემატიკის მეტად დაკონკრეტებას, პროგრამის განმახორციელებელი გუნდი ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტების მოსაზრებას, შესაძლებელია მისაღები საკითხების კიდევ უფრო დაკონკრეტება იმ პერიოდისთვის როდესაც პროგრამას ექნება სტუდენტების მიღების საშუალება, თუმცა, სასურველია, ექსპერტთა დასკვნაში მეტად დეტალურად გაიწეროს აღნიშნული რეკომენდაცია, რათა პროგრამის გუნდმა ზედმიწევნით შეძლოს საგამოცდო საკითხების დაკონკრეტება.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში საგნების თანმიმდევრობისა და სემესტრული განაწილების უკან დგას კონკრეტული მიმართულებით საჭირო ცოდნისა და უნარების ეტაპობრივად განვითარების პრინციპი და ლოგიკა. არსებული სახით პროგრამაში სასწავლო კურსების განაწილების პრინციპი არ წარმოადგენს აკრედიტაციის რომელიმე სტანდარტის ან სტანდარტის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმის დარღვევის საფუძველს და ის სრულად განეკუთვნება პროგრამის სპეციფიკის, აკადემიური გემოვნებისა და თავისუფლების საკითხს. იმის გათვალისწინებით, რომ ალგორითმების მიმართულების საგნების დამატება გამოიწვევს პროგრამის სტრუქტურასა და კონცეფციაში მნიშვნელოვან ცვლილებებს, ექსპერტთა რეკომენდაციას ნაწილობრივ ვიზიარებთ, აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურიკულუმში უკვე არსებობს სავალდებულო კურსი - ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები და სამომავლოდ აღნიშნულ და სხვა სასწავლო კურსებში კიდევ უფრო გაძლიერდება ალგორითმების შესწავლა.

რაც შეეხება მე-4 და მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულება ამ რეკომენდაციას სრულიად იზიარებს და უკვე მუშაობის სილაბუსისა და სახელმძღვანელოების განახლებაზე, შესაბამისად, ლიტერატურა შეიცვლება უფრო მაღალი დონის, სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამისი ლიტერატურით.

მნიშვნელოვანია, ასევე, მე-6 რეკომენდაცია, კერძოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს დინამიკურობასა და დარგის მუდმივი ცვალებადობის გათვალისწინებით აღინიშნა, რომ ლიტერატურის განახლების საკითხი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის მონიტორინგის ბუნებრივი პროცესია და სწორედ ამიტომ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე სისტემატურად მიმდინარეობს ახალი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო გამოცემების შეძენა და სილაბუსებში განახლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიტერატურის განახლება უნივერსიტეტში უკვე დანერგილი პრაქტიკაა და ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებშიც ანალოგიური მიდგომა გაგრძელდება.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აღსანიშნავია, რომ პროგრამული ინჟინერიის მიმართულებით, ძირითადად, ხდება პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირების დასაქმება, თუმცა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ნაწილია საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული

გამოცდილების მქონე პირებთან ერთად აკადემიური გამოცდილების მქონე პერსონალის მოზიდვა, რომლებსაც ექნებათ სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. აღნიშნული მიდგომის გამოყენება გაგრძელდება პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებითაც.

ამასთან, პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში მოწვეული პერსონალის ჩართულობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მუდმივი ნაწილია. სწორედ ამიტომ, პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისა და თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე: ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. რაც შეეხება სასწავლო კურსების სილაბუსების შემუშავებას, ხაზგასასმელია, რომ სილაბუსები შემუშავებულია, უშუალოდ, განმახორციელებელი პერსონალის მიერ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციით გათვალისწინებული საკითხები უნივერსიტეტში უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა სახის მხარდამჭერ ღონისძიებებს, მათ შორის, სწავლის შედეგების შემუშავებისა და გაზომვის ინსტრუმენტების შესახებ ტრენინგებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელ გუნდს 2022 წლის დასაწყისში ჩაუტარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და უნივერსიტეტის სწავლების სრულყოფის ცენტრის (TEC) ერთობლივი ტრენინგი თემაზე: „სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასების თანამედროვე მიდგომები“, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც სააკრედიტაციო დოკუმენტაციაშია წარმოდგენილი. ამასთან, აღნიშნული ტიპის ტრენინგები უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება, რისი მეშვეობითაც პროგრამის პერსონალი სწავლის შედეგების შემუშავებისა და გაზომვის პროცესში მუდმივადაა ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა არსებობს თუ არა დაწესებულებაში რაიმე დოკუმენტი ან პროცედურული თანმიმდევრობა, რომლითაც ხდება კონკრეტული პედაგოგის მოწვევა და გაწერილია თუ არა მისი ჩართულობა პროგრამაში.

ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები საკმაოდ სერიოზული ხასიათისაა, შესაბამისად, ამ პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების შემთხვევაში, რამდენად რეალურია პროგრამით დასახული მიზნების მიღწევა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას არ აქვს არანაირი ფილტრი და პროგრამაზე დაშვება არის თავისუფალი, რამდენად შესაძლებელი იქნება პროგრამული ინჟინერიის მიმართულებით, რომელიც საკმაოდ სპეციფიური დარგია პროგრამის დაძლევა სხვა საბაკალავრო ხარისხის მქონე სტუდენტებისთვის. ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა აკადემიური პერსონალის საკითხი, კერძოდ, მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ემსახურება პროგრამას თუ არიან ასევე დოქტორანტებიც და დოქტორის ხარისხის მქონე პირებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ინგლისური ენის დონის დადასტურება პროგრამის მიხედვით შესაძლებელია TOEFL და IELTS სერთიფიკატებით, შესაბამისად, დააზუსტა თუ რა არის მინიმალური ქულა მათი არსებობის შემთხვევაში. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტს ესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშრებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თუკი მე-3 და მე-4 რეკომენდაცია ასეთი მძაფრია, ამასთან თუკი პერსონალთან დაკავშირებითაც შესაძლებელია რამდენიმე კითხვის ნიშნის დასმა, მაშინ რატომ არის სწავლის შედეგების მიღწევადობა მეტწილად შეფასებული. გარდა ამისა, როგორ მოხდება სწავლის შედეგების მიღწევა თუ პრობლემაა კურსებთან და პერსონალთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ რიგი კომპონენტი და ქვესტანდარტი აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისი და, სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ არსებული ხუთი სტანდარტიდან, სამი არის მეტწილად შესაბამისობაში. ამასთან, თუ სილაბუსებში არ მოხდა საკითხების გაძლიერება, მიზნების მიღწევა საშუალო დონეზე იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, პრაქტიკული გადმოსახედიდან არსებულ პერსონალს შეუძლია აღნიშნულის განხორციელება, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ სასწავლო მასალებიც და ლიტერატურაც აუცილებლად იქნება შესაცვლელი.
ექსპერტმა განმარტა, რომ მისაღები გამოცდების თემები დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი ზოგადი სახით და არა დაკონკრეტებული, შესაძლებელია სტუდენტმა იცოდეს მონაცემთა ბაზების მენეჯმენტი, მაგრამ არ იცოდეს მონაცემთა ბაზების დაპროექტება. გამომდინარე აქედან, აუცილებელია საკითხების დაკონკრეტება და ჩაშლა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან მიმართებით არ არის არანირი პრობლემა ან შეკითხვები.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შედეგების მიღწევადობა შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი. ამასთან სასწავლო კურსების ნაწილი არჩევითია, რაც აისახება სწავლის შედეგებზე, მიუხედავად ამისა, კომპონენტების ნაწილი შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს მოწოდებულ პროგრამაში თემები აღწერილია ICT-ს ფართო დარგების ზოგადი თემებით, რაც აპლიკანტს არ მისცემს საშუალებას განსაზღვროს კონკრეტული საკითხი. აუცილებელია თემების მეტად დაზუსტება და პროგრამაში მათი მითითება, თუნდაც დანართის სახით. აპლიკანტისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხვის გამჭვირვალობას და სამართლიანობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა პედაგოგის მოწვევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან ერთად, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნულ ეტაპებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი პერსონალი იქნება ეს მოწვეული თუ აკადემიური, თავიდან ბოლომდე ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინგლისურის მინიმალური დონე უნდა იყოს B2.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა სრულიად უზრუნველყოფს სტუდენტის სწავლის შედეგებზე და მიზნებზე გასვლას, როგორც პროგრამულ, ასევე კვლევის ნაწილში. ამასთან, დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა პოზიციას წინაპირობების ჩაშლასთან დაკავშირებით .
ინსტიტუციის წარმომადგენლმა ისაუბრა, ასევე, კვლევის კომპონენტებთან დაკავშირებით, კერძოდ, სასწავლო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების 80%-ის შინაარსში გაწერილია კვლევითი კომპონენტი რაც აუცილებელია, იმისათვის, რომ სტუდენტმა კონკრეტული პროგრამული პროდუქტები შექმნას, ხოლო რაც შეეხება შეფასებას აღნიშნული ხორციელდება სემესტრის ბოლოს, რომელიც გულისხმობს პრეზენტაციასა და პროგრამული პროდექტის შექმნას. ამასთან სავალდებულო კურსებში ინტეგრირებულია რეფერატები.
პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ნათელია ხედვა პროგრამის კურსდამთავრებულის შესახებ, რომელიც წვლილს შეიტანს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვის გზით. პროგრამის შემუშავებაში მონაწილე პირთა მოლოდინით, ის აქტიურად ჩაერთვება საზოგადოების წინაშე მდგარი საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის პრობლემების მოგვარების გზების გამოვლენაში. ექნება კრიტიკული ანალიზის უნარი, რაც ხელს შეუწყობს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებასა და დასახული მიზნების მიღწევას. მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები დარგის გამოწვევებისა და შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პრაქტიკის შესაბამისია. გარდა

ამისა, შემუშავებული სწავლის შედეგები ეხმიანება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება დამსაქმებლებთან ინტერვიუსა და გამოკითხვის შედეგების ანალიზით. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შემუშავებისას, გათვალისწინებული იყო როგორც უცხოური/ქართული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკა, ისე დამსაქმებელთა მოლოდინები, ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. კურსდამთავრებულს შეეძლება კვლევის უახლოეს მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად მოიძიოს მონაცემები, სისტემურად და კრიტიკულად გაანალიზოს თანამედროვე და კომპლექსური პროფესიული/აკადემიური სამეცნიერო მიდგომები და ინფორმაცია, რაზე დაყრდნობითაც შექმნას კვლევითი ნაშრომი და განავითაროს კომპლექსური პროგრამული პროდუქტები.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, ის სრულდება ბოლო სემესტრში და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებამდე სტუდენტმა უნდა გაიაროს ყველა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი, მათ შორის, კვლევის მეთოდების სასწავლო კურსიც, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის კვლევის მეთოდების შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და კვლევისთვის საჭირო პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ამასთან სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია და დეტალური მოთხოვნები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:21

დასრულების დრო: 15:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პროგრამული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პროგრამული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით.

რეკომენდაციები:

- 1.2 სავალდებულო წესით მოხდეს პედაგოგების ინფორმირება საგნის სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ პროგრამის სწავლის შედეგებთან და მათი შეფასების პროცედურების ამ შედეგების გამოყენების შესახებ;
- 2.1 სპეციალობის გამოცდის თემები მეტად დაკონკრეტდეს და დაემატოს პროგრამას;
- 2.1 რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამაზე მიღების წინაპირობები პროგრამის სრულფასოვნად დაძლევისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროგრამული ინჟინერიის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- 2.2 დაემატოს პროგრამას ალგორითმების მიმართულების საგნები;
- 2.3 გაძლიერდეს საგნების პროგრამული ინჟინერიის პარადიგმები, „მონაცემთა ბაზების დიზაინი“ , „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „კომპიუტერული ქსელის ინჟინერია“, „პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება“ სილაბუსები მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი საკითხებით;
- 2.3 სავალდებულო საგანი „კვლევის მეთოდები“ ჩანაცვლდეს დარგობრივი კვლევის მეთოდებით და არსებულმა საგანმა გადაინაცვლოს არჩევით ბლოკში უფრო კონკრეტული სათაურით, მაგ. „სოციალური კვლევის მეთოდები“.
- 2.3 განახლდეს ლიტერატურა საფეხურის შესაბამისი წიგნებით;
- 2.4 გაძლიერდეს შინაარსობრივად საგნები მაგისტრატურის შესაბამისი ისეთი საკითხებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგობრივი კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას
- 4.1 გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალი დარგის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე პიროვნებებით;
- 4.2 მკაფიოდ განისაზღვროს პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავენ მოწვეულ პედაგოგთა ჩართულობას პროგრამაში და მათზე მიწერილი საგნების სილაბუსების შემუშავებას;
- 5.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს პროგრამის პერსონალის პერიოდული ტრენინგი პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესში მათი მაქსიმალური ჩართულობა.

2. მეორე საკითხი : სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ცენტრში 2022 წლის 17 აგვისტოს წერილით წარმოდგენილ იქნა ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 21 ივნისის სხდომაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია.

რაც შეეხებ პროგრამის სტრუქტურას, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბაკალავრი ეკონომიკაში. პროგრამის მოცულობა - 240 ECTSის კრედიტი. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტების მოცულობა არ შეცვლილა 135 ECTS კრედიტია. •არჩევითი სასწავლო კომპონენტი - 15 ECTS კრედიტია. 2 არჩევითი 30 ECTS კრედიტიანი კონცენტრაცია. თავისუფალი სასწავლო კომპონენტი 15 ECTS კრედიტია, ხოლო 45 ECTS კრედიტი ზოგადი ტრანსფერულ-სასწავლო კომპონენტებია.
რეკომენდაციების შესრულების შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია არის გათვალისწინებული და ექსპერტთა ჯგუფს დამატებით რეკომენდაციები არ დაუფიქსირებია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშავა აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასა და შესაბამისი ცვლილებების გატარებაზე, გამომდინარე აქედან თითოეული რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული და შესრულებული.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:02
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: : სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეწყდეს არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი : შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ირინა გველესიანმა
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ (N1022269 07/09/2022) ბრძანების საფუძველზე ექსპერთტა ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 28 ივნისი სხდომის ოქმი მიხედვით ინსტიტუციას განესაზღვრა 60-დღიანი ვადა საგანმანათლებლო პროგრამაზე ცდომილებებს გასასწორებლად.
შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამაში ასახული კრედიტების გადანაწილება სემესტრების მიხედვით, შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისბრძანება №105/ნ (2021 წლის 29 დეკემბერი) მუხლი 2- თან, რომელიც არეგულირებს ECTS კრედიტების გადანაწილებას მედიცინის პროგრამებისთვის. არჩევითი კურსების კრედიტების მოცულობა ვერ აკმაყოფილებს რეგულაციის მოთხოვნებს და საჭიროა კორექტირება.
2. რეკომენდირებულია ერთი მოცულობის ასარჩევი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა, ისე რომ შეთავაზებულ სემესტრში მათი რაოდენობა ერთზე მეტს წარმოადგენდეს.
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში -MD1110E, MD1210E, MD2110E, MD2210E საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა.
4. რეკომენდირებულია ობიექტურად სტრუქტურურებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მსვლელობისას სადგურების რაოდენობა გაიზარდოს 12-მდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს უპასუხა და გაატარა შესაბამისი ცვლილებები. ამასთან კითხვის ნიშნები არსებობდა მინისტრის ბრძანებასთან შესაბამისობის ნაწილში, რაც დაწესებულების მიერ, ასევე, აღმოიფხვრა, კერძოდ,

უფრო ნათლად გაიწერა სემესტრებისა და კრედიტების განაწილების საკითხი და 61 კრედიტის ნაცვლად გაიწერა 60 კრედიტი.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, 24 ძირითადი საგანი იძლევა საშუალებას, პირველ ან მეორე სემესტრში ქართველმა სტუდენტებმა გაიარონ ძირითადი სავალდებულო საგნის სახით ინგლისური ენა და ეს შესაძლებელია ისე, რომ არ მოხდეს 60 კრედიტის გადაცილება.
ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სხვა პროგრამებისგან განსხვავებით აღნიშნული პროგრამა პირდაპირ იწყება ბიოსამედიცინო ბაზისური საგნებით, ისინი მოითხოვენ მეტ დროს, რაც თავიდანვე იყო დაგეგმილი. უნივერსიტეტი დააკვირდება და კიდევ შეაფასებს არსებულ საათობრივ განაწილებას და ამის მიხედვით იმსჯელებს საათების შემცირების საჭიროებაზე.
რაც შეეხება არჩევითი საგნების რაოდენობას, დაწესებულება აქტიურად მუშაობს მათ გაზრდაზე, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობა აირჩიონ სასურველი საგანი.
ამასთან დაწესებულება მაქსიმალურად შეეცდება, რომ ჰქონდეს OSCE-ს 12 სადგური. ამჟამად, დაწესებულებაში არსებობს OSCE-ს 6 სადგური, თუმცა, ასევე, არსებობს გამოცდისთვის მოსამზადებელი სივრცეები და ლაბორატორიები. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ ბიომეცნიერების ლაბორატორიის გაძლიერებისთვის დაწესებულებაში არის ანატომიური მაგიდა, ასევე ხდება 3D ვიზუალიზაცია სპეციალური აღჭურვილობის საშუალებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა, თუ რატომ ვერ მოხერხდა ორი თვის განმავლობაში OSCE-თან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოს რეკომენდაციაში არ იყო მოცემული 6 ან 12 სადგური, შესაბამისად, არ არსებობდა ამის სამართლებრივი ვალდებულება. განსაზღვრული იყო, რომ მოცემული საკითხები მკაფიოდ ყოფილიყო ასახული სილაბუსებში, რაც დაწესებულებამ შეასრულა.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ არსებობს OSCE-ს საერთაშორისო ინსტრუქციები, სადაც მითითებულია თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს OSCE შეფასების სრულფასოვან მეთოდად, ამიტომაც საბჭომ ჩათვალა, რომ დაწესებულება ამით იხელმძღვანელებდა, ამასთან ექსპერტებსაც აღნიშნული, ასახული ჰქონდათ დასკვნაში. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა ინსტიტუციამ ჩათვალა, რომ 5 სადგური იყო საკმარისი, თუ დრო ან რესურსი არ ეყო აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოს რეკომენდაციებში სადგურების რაოდენობა არ იყო მითითებული. რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ შეფასების მეთოდები ინტეგრირებული უნდა ყოფილიყო პროგრამაში, რის შედეგადაც დაწესებულებამ განსაზღვრა ის კონკრეტული კურსები, რომლებშიც უნდა მკაფიოდ ყოფილიყო გამოკვეთილი აღნიშნული საკითხი. 6 სასწავლო და 4 პრეკლინიკურ კურსში ინტეგრირდა OSCE. შესაბამისად, OSCE-ს ინტეგრირება მოხდა 10 სასწავლო კურსში. გარდა ამისა, განისაზღვრა სხვა შეფასების მეთოდებიც, რაც განსაზღვრული იყო საბჭოს რეკომენდაციებში. დაწესებულება აქტიურად მუშაობს შეფასების მეთოდების განვითარებასა და დახვეწაზე.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:49
დასრულების დრო: 17:55
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შეწყდეს არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით